ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2725607

ნომერი: AR1422292

თარიღი : 13.07.2016

გაცემის თარიღი : 20.07.2016

გაცნობის თარიღი : 22.07.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 25 , (ნაკვ. 10/017) / ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 25 , (ნაკვ. 10/018) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ბერიძე პ/ნ 01026009176
- დოლიძის ქ. 7

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ: ვინაიდან სამსახურის მიერ №2410053 ბრძანებით შეთანხმებულ პროექტში გათვალისწინებულია ერთიანი სისტემით კონდიციონერების განთავსების საკითხი და ამასთან შენობა ექსპლუატაციაში არის მიღებული, საჭიროა წარმოადგინოთ №2410053 ბრძანებით შეთანხმებული პროექტის შესაბამისად კონდიციონერების განთავსების ერთიანი ესკიზის ფოტომონტაჟი, სადაც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 24.05 2016 წ. #14-39 დადგენილების თავი IV, მუხლი 18, პ.10/გ-ს თანახმად კონდიციონერები შეფუთული იქნება დეკორატიული ელემენტებით (ჟალუზი, ეკრანი და სხვა), მათი არქიტექტურულ- მხატვრული მხარის ფასადებთან ერთად ერთიან სისტემაში გადაწყვეტით და საპროექტო ადგილი გამოყოფილი იქნება წარწერით. ასევე, დამატებით ატვირთეთ საკადასტრო გეგმა საპროექტო ადგილის მონიშვნით. გაითვალისწინეთ: დაუშვებელია ასეთი მოწყობილობა-დანადგარების განთავსება ქუჩის მხარე ფასადზე.

გაითვალისწინეთ: სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში, წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.